საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/49 “30” ივნისი 2025 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურის შემდგომ ეტაპზე კანდიდატის გადასვლის შესახებ

1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის პროცედურის დაწყების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 10 აპრილის №1/35 განკარგულების საფუძველზე მიმდინარე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის შედეგად,

ა) შემდგომ ეტაპზე გადავიდა კანდიდატი ლევან ნემსაძე (91,15%);

ბ) შემდგომ ეტაპზე ვერ გადავიდნენ შემდეგი კანდიდატები:

ბ.ა) მიხეილ ჯინჯოლია (89,54%)

ბ.ბ) ივერი აბაშიძე (89,46%)

ბ.გ) ლიანა კაჟაშვილი (88,15%)

ბ.დ) თამარ ალფაიძე (70,38%).

2. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში. საჩივარი წარედგინება საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს (მის.: თბილისი, ბოჭორმის ქ. 12) ამ განკარგულების საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან 1 კვირის ვადაში.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი
საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი